იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფასი:

წლიურათ	7 მანეთი
ნახევარი წლით	4 მანეთი
თვიურათ	4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 35
წელიწადი პირველი
1912

სამშაბათი, 6 ნოემბერი

რედაქცია მოთავსებულია ქუთაისში, ივანოვის ქუჩაზე, ვ. ი. ჭილაძის სახლში, (ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).

ამა 1912 წ. 26 სეკტემბრიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური ქართული გაზეთი

იმერეთი

(წელიწადი პირველი)

გაზეთის ფასი

ერთი წლით . .	7 მანეთი.
ნახევარი წლით . .	4 მანეთი.
ერთი თვით . .	4 აბაზი.
ცალკე ნუმერი . .	შაურათ.

1 ოკტომბრიდან წლის დამლევამდი გაზეთი ღირს 2 მანეთად. მოწაფეებს და სოფლის მასწავლებლებს დაეთმობათ მანეთ ნახევრათ.

მისამართის გამოცვლა—10 შაური.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი ღირს 6 შ., მეოთხეზე აბაზი, შიგნით გვერდებზე მორიგებით. სამგლოვიარო განცხადება—3 მანეთად. ფული და გაზეთის ყოველივე საკანტორო ანგარიში უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Въ гор. Кутаисъ, редакція и контора газеты „ИМЕРЕТИ“

Антону Михайловичу Хеладзе.

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

ქვრივი კნ. ვასასი (ვაჟია) ბეროს ასული აბაშიძისა, დაფინა სიმონის ასული კნ. ნიჟარაძისა შვილებით: თ-დი ივანე ბეროს ძე ნიჟარაძე, მინადორა ბეროს ასული ლოლობერიძისა, კნ. თეოდოსია ბეროს ასული აბაშიძისა, თ. ანდრია ქაიხოსროს ძე აბაშიძე, ეკატერინე ბეროს ასული არნოშიძისა და კნ. გოგოლა ბერო ნიჟარაძის ასული გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი ქმრისა და დანარჩენნი სიძისა თავადის

ალექსანდრე (საშა) სამსონის ძის აბაშიძის

ტრაღიკულ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე, გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 12 ნოემბერს ნაშუადღევის $3^1/_2$ საათზე, საკუთარი სახლიდან, მესხეთის ბოლოში, სილის თავარანგელოზის ეკლესიაზე.

17 ნოემბრიდან ქ. ქუთაისში გამოვა ყოველ კვირული სამეურნეო და საზოგადო ჟურნალი

სასოფლო გაზეთი.

ჟურნალის მიზანია ემსახუროს ჩვენი სოფლის ნივთიერ, კულტურულ და გონებრივ აღორძინებას.

ჟურნალი ღირს:

ერთი წლით —	4 მან.	ერთი თვით —	2 აბაზი
ნახევარი — —	2 ,,	ცალკე ნუმერი —	2 შაური
3 თვით — —	1 ,,	საზღვარგარეთ ორჯერ მეტი.	

ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში ის. ქვიცარიძესთან, მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და სამეურნეო შკოლაში. ტფილისში წ. კ. გ. საზ. წიგნის მაღაზიაში, ბათომში „განთიადში“. გიორგი მახარაძესთან. ფოთში ჟურნალ გაზეთების შკაფში სიმ. ღრაგველიძესთან. ოზურგეთში წიგნის მაღაზიაში მ. თალაკვაძესთან. ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან. ლანჩხუთში ვარლამ ქალანდაძესთან. ჯუმათში ვასილ მასხულიასთან. სამტრედიაში ისიდორე სტურუასთან და წ. კ. გ. საზ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში. ზესტაფონში წ. კ. განყ. წიგნის მაღაზიაში პლატონ ქიქნაველიძესთან. გორში არ. ქალანდაძესთან. ხაშურში პირველ კლასის ბუფეტში მ. რ. ჩიქოვანთან და ს. უაჩეიშვილთან, წიგნის მაღაზიაში. ჭიათურაში ივანე ბოძელაურთან და „ჩვენს ოჯახში“, საჩხერეში აქიმს მოლოშვილთან.

ადრესი წერილებისა და ფულისათვის: ქუთაისი, სამეურნეო შკოლა „სასოფლო გაზეთისათვის“.

რედაქტორ-გამომცემელნი: პ. გ. წულუკიძე და ალ. შარაშიძე.

პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონელი **შემთხვევით ნაყიდი** და პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება **დღეის რიცხვიდან მოკლე ვადით** ქ. ქუთ. ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შენობაში ახვლედიანის მაღაზიის მეორე განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონელი: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტუმები 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვების საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, საუკეთესო ღირსების და გამოჩენილი ქარხნების აბრეშუმის იუბკები, შალის კაბის ქვედა წელები, რუბაშკები და სარუბაშკეები ნაჭრობით;

პალოშები, კაცის, ქალისა და ბავშის, რედიკულები, ალბომები, სარკეები და ღია წერილის ალბომები, ქალის და კაცის ქამრები და საქამრე რეზინები და სხვა მოწყობილობა მისი, ყოველნაირი რეზინა წინსაკრავისთვის და აგრეთვე მზა წინსაკრავი ქალთა და ბავშთათვის. სამუსიკო იარაღები სასიამოვნო ნოტებით, კორსეტები და სხვა **ამასთანავე მოვახსენებთ პატივცემულ საზოგადოებას**, რომ ახვლედიანის მაღაზიაში არის ახლადვე მიღებული დიდძალი საგალანტერეო საქონელი მზა ტანისამოსები და ფეხსაცმელები კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს კიდევ ველებულობთ ყოველ დღე.

ფასები ხელმისაწვდომია და უვაჭრობოთ. პატივისცემით ა. ახვლედიანი.

ბაქოს ქართულ შკოლაში
განთავისუფლდა ადგილი.
გამგე მასწავლებლისა.

ჯამაგირი გამგისა წლიურად 900 მანეთი და ბინა, ანუ ბინის ქირა 300 მანეთი. მსურველთ უნდა გამოგზავნონ თხოვნა და სხვა საბუთები (curriculum vitae) შემდეგის მისამართით: Баку. Бакинскому Отдѣленію О-ва распространенія грамотности среди грузинъ.

პაეზზე დაფუძნებული ამხანაგობა

ს. მ. კორაკოზოვის და ბ. გ. ოგანოვის

ქ. ქუთაისში, გიმნაზიის ქუჩა, საკუთარი სახლი.

მომავალი ამა სეზონისთვის მიღებულია აუარებელი და დიდძალი ასარჩევი საქონელი: აბრეშუმის, შალის, მაუდის, მატულის, ტილოსი და ბამბისა.

დიდი სარჩევი:

პლიუშის, ველვეტის, საბნების, ნოხების, „დაროჟკის“, გორდონი ტიულის, ბრეზენტის, ტილოსი, ჯუტის და ყოველნაირი მაუდების და ფორმის მატერიების სამხედრო და სამოქალაქო უწყებათათვის და ყველა სასწავლებლისათვის. სუფრის ჩაის და ლოგინის თეთრეული, სერვიზები ყოველნაირი ბამბაზეა, შოტლანტა და ვიგონები.

მაღაზია და საწყობი სავსეა სეზონის ახალ-მოდის საქონლით.

რადგანაც ჩვენს ამხანაგობაში მონაწილენი არიან სხვილი და გამოჩენილი ქარხნების პატრონები **ქ. მოსკოვისა**, ამისათვის ფასები დანიშნულია რიგიანი და შეუვაჭრებლათ. მიიღება აგრეთვე დაკვეთა ყველა სახელმწიფო, და კერძო დაწესებულებათათვის ნაღდ ფასათ.

ქუთაისის განყოფილება.

მიაქციეთ ყურადღება!

მიაქციეთ ყურადღება!

გ. დ. კაჭკაჭოვის
ახლათ გაღებული ფართლეულის
მაღაზია

ბულვარის პირდაპირ.

მივიღეთ და ყოველ დღე ველებულობთ დიდძალ ახალმოდის საზამთრო მატერიებს: შალეულს, მაუდეულს, აბრეშუმეულს, ტილოს, ბამბეულს, მაგიდის ყოველნაირ გასაწყობს. აგრეთვე „რუბაშკებს“ შალის, აბრეშუმის, საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ტულის ფარდებს.

საქონელი იყიდება სხვა მაღაზიებთან შედარებით, დაკლებულ ფასათ და უვაჭროთ,

განსაკუთრებით მოწაფეებს ფორმის ტანისამოსში 5 პროც. შეღავათი ეძლევათ.

მიაქციეთ ყურადღება!

პროვინციის მოვაჭრეთა საყურადღებოთ!

მანუფაქტურული საპარტიო სავაჭრო

ამხ. „სამეგრელო“.

გაიხსნება 1 იანვრიდან 1913 წ. ქ. ქუთაისში, ვორონცოვის ქ., მურადოვის შენობა.

პარიზის ჭრა კერვის კურსები
ს. ა. ალიბეგოვისა

დილა-საღამოს საათის მაცადინობით ექვსი თვის განმავლობაში ათავებენ პ. ჭ.-კ. მთელ კურსს. კურსდამთავრებულთ ეძლევათ მოწმობა: მისამართი: ქუთაისი, ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლი, ნახვა შეიძლება 10—7 საათამდი.

ბებია ქალი ე. ი. ბუკადოვსკაისა, ვკურნავ კანქვეშ შესაშხაპუნებელი წამლით. ივანოვის ქ. სახლი ბაჟიოდლისა № 20

აქიმი ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე: ყელის, ცხვირის და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. ტფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

აქიმი ი. ტოგონიძე იღებს შინაგან, ქალის სნეულებით და საზებით ავათმყოფთ.

ვაჟების გიმნაზიის პირდაპირ, ჩილინგაროვის სახლებში.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

მ. ბალანჩივაძისა.

კვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება. ვკურნავ მასაჟით, საქმით ვარჯიშობით, კანქვეშ შესაშხაპუნებელი წამლით და ვსპობ სახეზე: მეჭეჭებს, ნაკეცებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და სახის ყოველგვარ ავათმყოფობას.

გენერლის ქუჩა აქიმი ს. დორთქიფანიძის სახლი.

ბებია ქალი

ო. დონდუას ასული

აქიმ კაკატელაშვილთან ერთად იღებს თავის საკუთარ ბინაზე მშობიარე დედათ მოსალოგინებლათ. ფასი მორიგებით.

პუშკინის ქუჩაზე ვიტუშინსკის აფთიაქის პირდაპირ.

ჭიათურის შავი-ქვის სარეცხ მექარხნეთა საყურადღებოთ: სატრიალებელი ღვედები T-ва „Треугольникъ“-ისა წარმომადგენელი ჭიათურაში: ძმ. პ. გ. და მ. ლომაძე.

ქირავდება

ერთი ოთახი, ტფილისის ქუჩაზე დეპუტატთა საკრებულოს გვერდით. პირობების გაგება შეიძლება გაზ. „იმერეთის“ რედაქციაში.

აქიმი. გ. დ. ნასარიძე და მისი და ე. დ. ნასარიძის ასული გადავიდნენ ახალ ბინაზე, იქვე ძველი ბინის პირდაპირ რ. ს. ეზიკოვის სახლში.

აქიმი ი. ჩარექოვი.

დაბრუნდა აგარაკიდან და იღებს მხოლოდ და განსაკუთრებით კანის, ვენერიულისა და სიფილისიან ავათმყოფებს. დილის 12 სათ. 2-დე; საღამოს 5—7.

ილია ჭავჭავაძის ქ. აბულაძის შესახვევი ისელიანის სახლი.

აქიმი ვ. ს. ფეშინი ქირურგიული და საშარდის ავათმყოფობა (ცისტოსკოპია საშარდე) ბუშტის ელექტრონით გამოკვლევა კატერიზაცია თირკმლის. მიღება 12—2 საათ. და 4—6 ს. გოშპიტლის ქუჩა.

დღიური.

პეტერბურგში მინისტრთა საგანგებო კრება მოხდა. მსჯელობა ქონდათ სამხედრო უწყებაზე კრედიტის შესახებ. კრებამ დაადასტურა, რომ რუსეთი საომრათ მზათ ყოფილა.

— სერბიელებმა ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ მონასტერი და დიბრუ აიღეს.

— ბელგრადში დარწმუნებული არიან—რუსეთი სერბიას დაეხმარებაო.

— ექვს კვირას შემდეგ პარიზში მშვიდობიანობის კონფერენცია მოხდება. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს ბალკანეთის სახელმწიფოები. აქ გადაწყდება—საბოლოოთ სტამბოლი და სალონიკი ვისაც დარჩება.

— ოსმალეთი ბულგარეთს ზავის ჩამოგდებას თხოვს. ამ საქმის თაობაზე ქამილ-ფაშას ხანგძლივი ბაასი ქონდა ბულგარეთის წარმომადგენლებთან.

— ბესტუჟევის კურსებზე, პოლიტიკური კრება მოხდა. სამთო ინსტიტუტშიც დემონსტრაცია გამართეს. ხსენებულ შკოლებში წესიერების დასამყარებლათ პოლიცია შევიდა.

— პეტერბურგში 40,000 მუშა გაიფიცა.

— ავსტრიამ დროებით საზღვარგარეთ წასული აფიცრები სამშობლოში მოიხმო.

— ალბანეთის მოძრაობის ბელადები ველბასანში შეიკრიბებიან და დააწესებენ დროებით მთავრობას.

— შავმთიელებმა რუსეთის ბანკებისაგან 8 მილიონი მანეთი ისესხეს.

— ბალკანეთის სახელმწიფოების სასარგებლოთ პრაგაში დემონსტრაცია მოხდა.

— ზოგიერთი გაზეთების აზრით—ოსმალეთი ევროპიდან უნდა გაიდევნოს და სტამბოლი საერთაშორისო საკუთრებათ გახდესო.

— საბერძნეთის მეფის შვილი ნიკოლოზი სალონიკის სამხედრო გუბერნატორათ დაინიშნა.

— მადრიდში საფრანგეთ-ესპანიის ხელშეკრულობას ხელი მოაწერეს.

— ბულგარლებმა დროებითი მშვიდობიანობის ჩამოგდება უარყვეს.

— საბერძნეთის დედოფალი სალონიკს წავიდა.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

◆ გუშინ, 5 ნოემბერს დ. ხონში ნაშუადღევს გადაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე ივანე სიმონის ძე შერაშიძე. მოვაჭრეებმა ნიშნათ მისი პატივისცემისა ორი საათით დაკეტეს სავაჭროები.

◆ ისტორია-ეტნოგრაფიის ქუთათური საზოგადოების წესდება უკვე დაამტკიცა გუბერნიის საზოგადოებათა და კავშირთა საკრებულომ.

◆ ამ მოკლე ხანში მოხდება ისტორია-ეტნოგრაფიის ქუთათური საზოგადოების წევრთა პირველი საზოგადო კრება. როგორც გადმოგვცეს, კრება გაიმართება ქალაქის თეატრში. იქ ამ კრებაზე, სხვათა შორის ორი მოხსენება წაიკითხება: ერთი საქართველოს ისტორიის საზოგადო მიმოხილვაზე და მეორეც ქუთაისის ბაგრატის ტაძრის ნანგრევების შესახებ, რომელსაც ამასთანავე ბუნდოვანი სურათებით უჩვენებენ. ამ კრებას შეუძლიათ დაესწრონ გარეშე პირებიც.

◆ ქალაქის შუაგული ქუჩებიც ვერ არის სასურველ მდგომარეობაში და ცენტრს დაშორებულებისათვის სულ არავის შესტკივა თავი. კაზაკოვის ქუჩის გადასახვევი, რომელიც ძველი თფილისის ქუჩაზე გადის ნამდვილ სარჩობელას წარმოადგენს. იქ ისეთი ტლაპოა გაზელილი, თითქმის მთელი ქუჩის გასწვრივ, რომ ბედაურითაც ვერ გაივლი. არც ნარვილი, არც ნაპირებზე ქვაფენილი გასამშრალებლათ. არის ერთი ვაიუშველებელი და ყვირილი ამ ტალახში ჩაფლული მეურმეებისა, რომელთაც, დიდი გაჭირვებას შემდეგ, ეს ტალახი გამოაქვთ და ახლად გაკეთებულ ქუჩაზე (ძველ თფ. ქუჩ.) აფენენ და ამასაც აფუჭებენ...

◆ გუშინ ჩვენ მოვიხსენეთ, რომ ნოქარ ჯიქიძეს (და არა ქიქოძეს) ბატ. ი. გუგუნავას კვიტანციით ბებელის წიგნს—„დედაკაცი და სოციალიზმი“ არ აძლევენო ი. გუგუნავამ გაგვიცხადა, რომ კვიტანცია წარმომიდგინოს და დავაკმაყოფილებო. როგორც გადმოგვცეს, ეს კვიტანცია ნოქარ ჯიქიძეს გაუგზავნია გუგუნავასათვის და ამას წიგნის ნაცვლით ფული გაუგზავნია. უთანხმოება ახლა ამის გამოა. კაცს წინასწარი ხელის მოწერით უფრო იაფათ ნდომია ამ წიგნის შეძენა და ამ აზრით მოუწერია ხელიც, მაგრამ წიგნის ნაცვლათ, არ ვიცი, რა საბუთით ფული მომივიდაო.

◆ გასული თვის განმავლობაში ქალაქის ლაბორატორიის აგენტებს შეუმოწმებიათ 90 სხვადასხვა სურსათი. 10 სავაჭროში აღმოუჩენიათ ცუდი რძე.

შეუმოწმებიათ და ოთხგან ფქვილშერეული ძეხვები უნახავთ. ცუდი ღვინო აღმოუჩინეს ხუთ ვაჭარს.

გასული თვის განმავლობაში ცუდი სურსათისთვის ლაბორატორიის აგენტებს 24 მოვაჭრესათვის შეუყენებიათ ოქმი ყველა ეს ოქმი ქალაქის საბჭოსათვის გადაუციათ.

◆ 2 ნოემბერს ბანძაში მრავალი ხალხის თანდასწრებით უკურთხებიათ მომრიგებელი სასამართლოს ქვითკირის შენობის საფუძველი. ადგილი საზოგადოებას უფასოთ დაუთმია, ხოლო შენობის ხარჯი ნავარაუდევია ათას სამას თუმნამდი.

◆ მთავრობამ მოწაფეებს შაბათ-კვირას გარდა პროჟექტორებში სიარული აუკრძალა.

◆ ქ-ნი ნინო ჩხეიძის ასული თფილისში მიიწვიეს ორ წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებით.

◆ 28 ოკტომბერს. ქუთ საგუბერნიო სატუსაღოდან გაანთავისუფლეს სენაკის მაზრის მცხოვრები იოსებ ფაჩულიაი. მას დაცემა ბრალდებოდა. 1909 წელს ოლქის სასამართლომ ფაჩულიას ექვსი წლის კატორღა მიუსაჯა, შემდეგ ეს სასჯელი, ავათ მყოფობის გამო ცხრა წლის ციხეთ შეუცვალეს. ფაჩულიამ ამისათვის უქვეშევრდომილესი თხოვნით მიმართა მეფეს. მეფემ სასჯელი აპატია და ფაჩულია გაათავისუფლეს.

◆ ჟურნალ-გაზეთების კანტორა ,,იმერეთი''-ს გამგე მოაგონებს ილია ჭავჭავაძის თხზულებაზე ხელის მომწერლებს რომ მეორე ხვედრი სამი მან. შემოტანის ვადა უკვე მიდის და დააჩქარონ კანტორაში მისი შამოტანა, თვარა თანახმათ გამომცემლის განცხადებისა წიგნის მიღების უფლებას დაკარგვენ.

მოწერილი ამბავი.

დ. სამტრედია.

5—6 წელიწადია, რაც დ. სამტრედია შეუდგა წმ. მარინეს სახელობაზე საქალებო შკოლის აგებას, მაგრამ დასრულება ჯერაც არ ღირსებია.

ამ ორი თვის წინათ საზოგადოების ახალმა ვექილებმა შეადგენიეს საგუბერნიო ინჟინერს სავარაუდო ხარჯ-აღრიცხვა, რომელიც შემდეგ კერძო ტეხნიკმაც შეამოწმა და ამ ხარჯ-აღრიცხვის თანახმაი იჯარით მისცეს შენობის დამთავრება ბ. ბ. ს. სტურუასა და ს. სიხარულიძეს. ახლა კი ყველას იმედი ქონდა, რომ ახლო მომავალში ეღირსებოდა დამთავრება, მაგრამ აქაც ბედმა უმუხთლა სამტრედიელებს: დაიწყო მითქმა-მოთქმა, რომ ვექილებმა თავის ნათესავებზე იმიტომ გასცეს იჯარით, რომ მოსაგები საქმეო. მართლა რო ექვი არავის აელო, მოიჯარადრეებმა უარი სთქვეს იჯარაზე და ვინ იცის, როდის ეღირსება შენობას დამთავრება, მით უმეტეს, რომ ბ. ბ. სტურუა და ს. სიხარულიძე ქონებრივათ უზრუნველყოფილი არიან და საკუთარი ფულითაც დაამთავრებდენ მას და სოფლიდან კი შემდეგ ნაწილ-ნაწილათ მიიღებდენ ხვედრ ფულს.

ჩამოვიდა და შეუდგა თანამდებობის ასრულებას ახლათ დანიშნული მომრიგებელი მოსამართლე თავ. გ. დადიანი.

— აგრეთვე ჩამოვიდა ნაფიცი ვექილის თანაშემწე ბ. მ. ნ. ქეიშვილი, რომელიც ადგილობრივ სასამართლოში დაიცავს საქმეებს.

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი.)

29 ოკტომბერს, ღამით ადგილობრივ მომრიგებელ სასამართლოს დარბაზში ავაზაკები შეპარულან და კოდორისა და სამურძაყანოს ნაწილის გამომძიებლების ოთახიდან გაუტანიათ 6 რევოლვერი, 4 ბერდანკის სისტემის თოფი და სხვა საქმის ბევრი ქაღალდი. სასამართლოს მეორე ოთახში წოლილა სასამართლოს მოხელე ქვანია. მას შეუნიშნავს ქურდების ოთახში შესვლა და დაუძახია: „ეი, ვინახართო.“ მათ უპასუხიათ: „ხმას ნუ იღებ, თვარა გაგაქვავებთო“. ექვით დააპატიმრეს ორივე ნაწილის თარჯიმნები გრიშა ჩხოტუა და სტეფანე ქამშაია.

— 28 ოკტომბერს ღამის 3-4 საათზე, ოჩამჩირეს ნავსადგურზე ორი გემი იდგა „რუსის საზოგადოების“. ერთი ფოთიდან და მეორე სოხუმიდან. შებრუნების დროს გემი „შავი ზღვა“ დაეჯახა გემს „ვიტიაზს“ და ასასვლელი კიბე მიულეწა. კაცთა სხვერპლი არ ყოფილა, ზარალი კი 2000 მანეთამდია.

ეკატერინე გაბაშვილისას.

ქუთაისში ყოფნის გამო.

ქალი ემბლემაა საქართველოსი.

ქალს, დიდებულ ქალწულს, ღვთისმობელს წილად ხვდა ტურფა ქვყანა ჩვენი. უბიწო ასულს ერგო მფარველობა საქართველოსი, რომლის ბუნებაც უბიწოა.

ქალი იყო, რომ საქართველოს პირველ მერცხლათ მოევლინა და ქრისტეს დიდებული მოძღვრება აუწყა—წმინდა ნინო განმანათლებელი!

ქალი ეწამა ჩვენი ტანჯული ქვეყნისათვის და ერს მაგალითი უჩვენა საქართველოსთვის თავგანწირვისა, თავდადებისა — წმ. ქეთევან წამებული!

ქალი იყო თამარ მეფე, ეს მეფეთ-მეფე საქართველოს დიდებისა და გაბრწყინვების ხანისა.

თუ პირველი ქალი, მფარველი საქართველოსი, იყო თვით ღვთაება, ღვთიური სახითვე მოევლინენ ჩვენს ქვეყანას დანარჩენი სამი—„ნინო ქეთევან და თვით თამარი“!

ღვთისმშობელს ვაზის ჯვრით მოგზავნა ნინო თვისი ძის მოძღვრების საქადაგებლათ, ქეთევანი ეწამა ამ მოძღვრებისათვის, თამარი ამ მოძღვრებას ემსახურებოდა.

ისტორია არ დაივიწყებს ამათ სახელს, სანამ საქართველო იარსებებს, სანამ საქართველოს ეგ ისტორია ექნება.

და რა მოძღვრებას ემსახურება აწ საქართველოს თანამედროვე ქალი? დარჩა იგი იმავ ემბლემათ, მოძღვარია ერის, მერცხალია ეროვნული სულის გამტკიცებისა და გამდიდრებისა?

ისტორიულმა პირობამ პირი უბრუნა ქართველ ქალს,.. გარდაქმნა ბუნება მისი და გაძვირდენ მერცხლები, გაძვირდენ!...

და როცა ამ სიძვირისა და წყვდიადის დროს ათასში ერთი მაინც გაჩნდება ასეთი მერცხალი, მით უფრო ძვირფასია იგი და სადიდებელი.

ძვირფასი და სადიდებელია ეკატერინე გაბაშვილისა-მერცხალი-მწერალი ქალი.

ვუსურვებ ქართულ მწერლობას ასეთ მერცხლებს!

დ.

კიდევ ლეჩხუმის გლეხთა კურიის არჩევანის გამო.

მინდა ორიოდე სიტყვა ვუძღვნა იმ პირთ, რომელნიც გლეხს ფრუიძეს თავის შეხედულობის და თავისუფალი აზროვნობისთვის ათას ცილს სწამებენ და სხვანაირი მუქარაც კი მიუძღვნეს. როგორც ჩემთან ერთი ქვეყნის კაცზე და მასთან ბავშობიდან ახლო გაცნობილს, ბ. ფრუიძეზე—შემიძლია ვთქვა, რომ ის ყოველთვის ითვლებოდა ლეჩხუმელ გლეხთა შორის უფრო შეგნებულ პირათ. ამ უკანასკნელ სამ-ოთხ წელს ფრუიძე გამსჭვალული იყო თავისი დაბეჩავებული სამშობლოს სიყვარულით და მისი სულიერი და ნივთიერი მდგომარეობა აწუხებდა იმდენათ და იმ სახით, როგორც ეს შეიძლება გამოიხატოს ცოტათ თუ ბევრათ შეგნებული გლეხისაგან. არჩევანის ორი-სამი კვირის წინათ შემხვთა ლაპარაკი ბ. ფრუიძესთან; როგორც მოსალოდნელი იყო მან სრული სურვილი და მასთან მხურვალე მონაწილეობა მიიღო, რომ ლეჩხუმელ გლეხთაგან, ისეთი ამომრჩეველი ყოფილიყო, რომელიც ჩვენი ქვეყნის ეროვნული და ნივთიერი მხრის დამცველს გაათეთრებდა.

28 ეკენისთვეს სხვა ამომრჩეველ გლეხთა შორის დ. ცაგერში სამაზრო არჩევაზე ფრუიძეც გამოცხადდა. დილიდან ფრუიძე და სხვა გლეხთა ამომრჩევლები სულ ჩვენი თვალის წინ იყვენ, დასახელებაც ფრუიძის კანდიდატურისა ჩემთან ერთად მოხდა. არჩევნამდი ფრუიძის ვინაობა როგორც კიტა აბაშიძის მომხრის, ცხადი იყო. თვითონ ფრუიძემაც აღიარა ეგ და სხვებმაც, ვინც კი იგი დაასახელა. ასეთმა მისმა აღსარებამ გამოიწვია წყრომა ზოგიერთებისა, მაგრამ სრულ სიყალბეთ მიმაჩნია ის ბრალდება, რასაც ფრუიძეს სდებენ.

ფრუიძეს დანაშაულათ მხოლოდ ის ჩაეთვლება, რომ როგორც თავისუფალი მოქალაქე, თავისი შეგნებით და მოქმედებით მიემხრო იმ ჯგუფს, რომელიც მისს სამშობლო კერას და ხალხს მოსარჩლეთ უდგია. ცილისმწამებელთ კი ეს შემიძლია მივუძღვნა: მათი კუჭის წვა იმისგანაა, რომ გლეხმა ფრუიძემ მონური, თვალდახუჭული მორჩილება არ გაუწია მათ და ის არჩია, რასაც სინიდისი უკარნახებდა.

მასხვალი.

სამშაბათელა.

ჩვენებურმა დასელებმა ერთი ორგანო, —უკაცრავად—ორღანი შეიძინეს, გაზეთი ,,თემი''—ხდრეც ორღანი—იყო. ვისაც და როგორც უნდოდა ისე მოესურვებოდა იმ ჰანგზე აჭყვირებდა და ახლაც აჭყვირებენ. უსახოს, უპრინციპოს, უეთიკოს ამისთანას არაფერს მოვსწრებივარ და ღმერთმა აწიც მაშოროს...

ეს სულ იმიტომა, რომ გრ. დიასამიძის ოჯახში იმ თავითვე გულუხვი მასპინძლობა იყო. ფხიზელი ხალხი იყო ყველა. ღვინის წვეთს არ იკარებდენ თვით და არც სტუმრებს ასმევდენ... ერთი კაციც არ დამთვრალა იმათ ოჯახში მას ჟამსა შინა, მარა დღეს კი ამ გრ. დიასამიძის ოჯახში—,,თემში'' მართლაც, რო გალოთებულს, ტვინით გალოთებულს, ხალხს მოუყრია თავი და აფორიაქეს ოჯახი. ,,თემი'' საბუდარი გახდა ყოველი უაზრო-აზრისა, და სახე მიიღო ბაზრისა, სადაც ასაღებენ დაღდაუკვრელ საქონელს ყველა ყალბი სანოვაგით მოვაჭრენი.

და ესეც იმიტომაა, რომ თვით ოჯახის პატრონს დაეკარგა დალი და შეხედულობა სადი.., და აფორიაქდა მისი ბადი.

გრ. დიასამიძე იქამდი მივიდა, რომ ახსენა ის ორიოდე მარჩილი, რომელსაც ლებულობდა არჩილი...

კარი გაუღო ბელტებს, დასელებს და ამათ სიყალბეს ავრცელებს და თავს იმით იმართლებს, რომ თავიანთი „ორღანი“ აღარ აქვთ. განა ცოტა აჭყიპინეს „ორღანი—არჩევნები“ მარა ეს ცოტა ხარჯს იწვევდა და აი გრიგოლმაც მიმართა მათ —მოდით, შვილო, ჩემთანაო... და შეივრდომა ყველა ვით გულუხვმა მასპინძელმა...

ოო, ეს ბელტი, დასელები.. გრიგოლ, სთქვი რადა—რას, ვის ელტვი!?

სამშაბათელა.

ადესა.

ილია ჭავჭავაძის საღამო.

27 ოკტომბერს შესრულდა 75 წელიწადი ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან. ნახევარი საუკუნე მწუხარების ღუმილში მყოფს, შეურაცყოფილს მშობელ ერს ემსახურა ილია; ზეგარდმო ნიჭით დაჯილდოებულმა, წმიდა იდეალებით, ბუნებრივი ჭკუით, სადი ლოღიკით აღჭურვილმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ბატონ-ყმობას, ამ სიბნელებით მოცულს უკანონობას; თავისი ენერგია და ღონე მშობელი ქვეყნის ბედნიერებისათვის ბრძოლას შესწირა და ასეთი ადამიანი გავწირეთ, არ დავ ნდეთ...

დღეს საქართველოს ყოველ კუთხეში იმართება ილიას საღამო, ქართველობა გამსჭვალულია სურვილით პატივი სცეს დაუვიწყარი, ძვირფასი მგოსნისა და საზოგადო მოღვაწის ხსოვნას!!. აქაც ადესაში რამდენათაც გარემოება ხელს უწყობდა, ქართულმა კოლონიამ, 28 ოკტომბერს, ,,ვაჟართა საკრებულოს'' დარბაზში,

---

შენიშვნები სამშობლო ლიტერატურაზე.

(ლირიკა ალექს. შანშიაშვილისა).

(დასასრული იხ. „იმერეთი“ № 32 და 33).

სევდა, რომელიც მძიმეთ აწევს გულზე ჩვენს პოეტს, მით უფრო ყურადღების ღირსი ხდება, რომ მიზეზი ამ სევდისა და ნაღველის წუთიერი, შემთხვევითი და წარმავალი არ უნდა იყოს, იგი ჩვენი ცხოვრების პირობებშია ღრმათ ჩაქსოვილი. გადაიკითხეთ ქართული ჟურნალ-გაზეთები, ჩვენი პუბლიცისტების, კრიტიკოსების და სხვათა ნაწერები, თქვენ ყველგან ამჩნევთ, რომ მათ ერთი რამ აერთებს, ახასიათებს, ეს არის საშინელი პესიმიზმი, უიმედობა: „ვიღუპებით! ვკრუბით! ვგვარდებით„! აი რას კითხულობთ ხშირათ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

თითოეული ცდილობს—მიგვითითოს ახალ გზაზე, ახალ საშუალებაზე, რომ როგორმე ამ უბედურებისაგან თავი დავაღწიოთ, მაგრამ მათი სიტყვები ისევ სიტყვებათ რჩება და ულმობელი ისტორიის კანონი, ქართველი ერის მოდუნებისა და უმოქმედობის გამო, გულქვა გამხდარა და მას არ ესმის ჩვენი პუბლიცისტების აშფოთებული შეკითხვა: Qvo vadis?

ამ პესიმიზმს, რა თქმა უნდა, თავისი ღრმა მიზეზები აქვს, რომლის ახლა გარჩევა ჩვენ ბევრ დროს წაგვართმევდა, მაგრამ გაკვრით მაინც მინდა მივუთითო მკითხველს ამ ღრმა მნიშვნელოვან მიზეზებზე, რომლის დასაბამი ჩვენს პოლიტიკურ დამოკიდებულებაშია.

ოდესღაც სახელოვანი ერი, ერი, რომლის ძლევამოსილობა შავის ზღვიდან გურგენის ზღვამდი აღწევდა, დღეს დაბეჩავდა, დაჩიავდა და "ლანდათ იქცა". თუ კი ერი პოლიტიკურათ ძლიერია და დამოუკიდებელი, თუ კი მისი სულიერი „მე“ სხვა ეროვნებათა შორის არ ითქვიფება, მაშინ მისი ინდივიდუალობა ხელოვნებაშიც სისწორით და სიძლიერით გამოისახება. მხოლოდ ოქროს საუკუნეს შეეძლო წარმოეშვა შოთა, შავთელი და ჩახრუხაძე, სწორეთ თამარის ძლევამოსილებას, რომელიც ამავე დროს საქართველოს ძლევამოსილებასაც წარმოადგენდა,—შეეძლო წარმოეშვა უკვდავი ხელოვნებაში. დრო გავიდა და საქართველოც დაეცა, მან დაკარგა თავისი უფლება, რომელიც პირველი წყაროა ყოველგვარი შემოქმედებისა, დაკარგა თითქმის თავისი სახეც, ინდივიდუალობა, რომელიც მიუცილებელი საჭიროა უკვდავ-მრავალფეროვან ხელოვნებისათვის.

საქართველოს სიძლიერესთან, თავის უფლებასთან დაეცა ქართული ეროვნება, დღეს ჩვენში ყველაფერს დროებითი, შემთხვევითი ბეჭედი აზის; შემთხვევითი მოქანდაკე, შემთხვევითი მსახიობი, შემთხვევითი კრიტიკოსი და შემთხვევითი პოეტიც.

შეიძლება ვინმემ მომიგოს: განა ქართველებს დამოუკიდებლობის დაკარგვას შემდეგ ცოტა პოეტები გვყავდა, რომელნიც მხნეთ უყურებდენ მომავალს და სევდა-ვარამს არ აძლევდენ თავს? მართალია, ამგვარი მწერლები გვყავდა და დღესაც გვყავს, მაგრამ მათ არ განუცდიათ ამ მონობის თვისებანი, მათ არც კი შეეძლოთ წარმოედგინათ, თუ შეიძლებოდა გადაგვარების გზაზე დამდგარიყო ერთხელ ძლიერი საქართველო, მაშინ ცელი მონობა უშინაარსო ფორმა იყო: ჩვენ გავურბოდით ჩვენს ბატონს, მასთან საერთო არაფერი გვქონდა, სულით და გულით ისევ ქართველებათ ვრჩებოდით და ვფიქრობდით, რომ აი დღეს თუ ხვალ ეს ხელოვნური ჯაჭვი გაწყდება და ჩვენც განვცალკევდებითთქო; მოიგონეთ დიმიტრი ყიფიანი, მოიგონეთ სხვადასხვა წრეები სამოციან და ოთხმოციან წლების შეთქმულობა! როგორ გულ-უბრყვილოთ სწყდებოდა დიდი საკითხი ამ დროს!.. ვიმეორებ—მაშინ ყველაფერი ქართული ქართულად რჩებოდა და ჰაერში იმედის სუნი ტრიალებდა; მაგრამ განვლო დრომ, ეროვნულმა მოძრაობამ ყველგან მაგრათ მოიკიდა ფეხი, ხოლო ჩვენ კი სავსებით დავიქსაქსეთ, დავძაბუნდით, ეკონომიურათაც გავლატაკდით და რადა საკვირველია, რომ ყველა ამას სულიერი სიღატაკე მოყვა. ჩვენ ჩვენი „მე“ თითქმის დავკარგეთ, გადაგვარება ახლა ზღაპრული მასალა როდია ჩვენთვის!.. და ამ დროს ჩვენ ისევ გვძინავს და უკვდავი ილია საფლავიდან გოდებს, მან არ იცის—„როს გვეღირსება ჩვენც გაღვიძება“.

აი, ასეთ უნუგეშო დროს გამოდიან სამწერლო ასპარეზზე შანშიაშვილი და ძმანი მისნი. რა უნდა პოვონ მათ შემარიგებელი, დადებითი? განა წუთიერ ნეტარებას შეუძლია გაფანტოს მათი სევდა? რამ უნდა მოგვაროს მათ სიამე და სიხალისე როცა:

„შავი ყორანი კვლავ თავს დაგვჩხავის;
უბედურებას ისევ გვიქადის“.

დუტუ მეგრელი.

ჩვენ შეიძლება, ამგვარი ყოფა არაფრათ მიგვაჩნდეს და საკუთარ ბედნიერებაზე ვზრუნავდეთ, შეიძლება ეს მდაბალი მიზანი გვავიწყდებოდეს კიდეც, მაგრამ პოეტის ბუნება სულ სხვა არის, იგი უპირველესათ თავისუფლების, სტიქიის შვილია და ვიწრო ფარგლებში ვერ მოთავსდება, ბატონს შიშის ძალით ვერ შეიყვარებს და ამიტომაც უსაზღვრო სევდა ქენჯნის მას:

„სევდის ღრუბელი, შავ-ბნელი ბინდი
ზედ დასწოლია ჩესს მიმქრალ თვალებს;
გული იტანჯვის, სული ვალალებს!..“

ამბობს მეორე ახალგაზრდა პოეტი გრიშაშვილი, რომელსაც ბევრი რამ აერთებს შანშიაშვილთან.

სწორეთ ის შეგნება, რომ:

„ჩვენი მამული ერთხელ ყვაოდა,
მთვარე მაღლიდან ელიმებოდა.“

ვერ არიგებს მას არსებულ წყობილებასთან; მას არ შეუძლია იპოვოს სულის სიმშვიდე, მოიკალათოს და მოეწყოს ამგვარი ცხოვრებისათვის; მას ან თავისუფლება სწყურია ან სიკვდილი.

„არა მსურს“, ამბობს იგი, (იხ. სევდის ბნელ-ღამეს“) „ქვეყნათ წყნარი სიმშვიდე, მე მირჩევნიან სევდა-გოდება, სულის ვრცელი ზღვაში თავსა დავიხრჩობ, კუბოს შემიკრავს ჩემი ღვთაება.“

აი აქ, მართლაც ნათლად სჩანს ის წერტილები, რომელიც შანშიაშვილს დიდ ბუმბერაზებთან: ბაირონთან და ლერმონტოვთან აერთებს; მაგრამ მათ შორის მაინც დიდი განსხვავებაა: ბრძოლის წყურვილი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს შანშიაშვილს; ნაღვლიანია პოეტი:

„დაღონებული კვლავ ვუმზერ მთვარეს,
მკრთალ ნათელსა ფენს სამშობლო მხარეს;
და აღარა ჩანს ძველი დიდება...
სამარეთ ქმნილა, ისმის გოდება“.
(იხ. ლექსი „ჩემი მამული“).

* * *

საკუთარი ბედნიერების მზე უკვე ამობრწყინდა პოეტისათვის, იგი შეიყვარა სატრფომ და კიდევაც ეფიცება მას, მაგრამ პოეტის სევდა მაინც არ გაიფანტა, მას ამ ნეტარ-წუთებსაც კი არ შეუძლიან სამხიარულო ჰიმნი უმღეროს გულის სწორს.

ასეთი საღამო გამართა!.. აიხადა ფარდა და სცენაზე გამოჩნდა ილიას სურათი ყვავილებით ლამაზათ შემკული; გარს მგალობელთა გუნდი ეხვია და ,,დიდებას" გალობდა; შემდეგ ერთმა ქალიშვილმა რუსულ ენაზე მომენტის შესაფერი, მოხდენილათ დაწერილი ცაგარლის ლექსი წაიკითხა. პრივატ დოცენტმა ს. ლ. ავალიანმა რუსულ ენაზე ლამაზი, შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა და შეეხო ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ მოღვაწეობის ძირითად მოტივებს. მეორე განყოფილება დაიწყო სტუდენტი ცეცხლაძის საგულისხმო, ქართულ ენაზე დაწერილი რეფერატით, რომელმაც მგოსნის ბიოგრაფიის შემდეგ, საფუძვლიანათ გაარჩია უკვდავი ილიას ნაწარმოები და შეეხო მისს პოეტურ ჰენიოსობას. რეფერატს მოყვა ილიას გლეხთა გათავისუფლების დროს სცენები (სცენები მომრიგებულ შუამავალთან), რომელიც აქიმის დათოშვილის რეჟისორობით და მონაწილეობით ქართულ ენაზე წარმოადგინეს. შემდეგ სტუდენტი კუპრაშვილის ლოტბარობით ქართულმა ხორომ იმღერა ,,ტურფავ მოდი", ,,ფაცხა", ,,რერო" და სხ. დასასრულ, აქაური დრამატიული რუსული დასის მსახიობებმა: ალექსეევის ქალმა და ბ-ნმა იაბლოჩკინმა, ილიას ,,დედა და შვილი" რუსულ ენაზე წარმოადგინეს; სურათი ორივემ ერთობ გრძნობიერათ ჩაატარეს და დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს დამსწრე საზოგადოებაზე. რადგან დაგვიანდა, მთელი პროგრამის შესრულება ვერ მოასწრეს, რის გამო ლექსების კითხვა, ,,განდეგილიდან" ცოცხალი სურათების დადგმა აღარ მოხდა, საღამოს დიდი საზოგადოება დაესწრო.

მანი.

ლოცვა.

მზის სხივები გაფერმკრთალდა, მიატოვა მთა და გორა,
ჩაქრა უცებ—და არყოფნის შავბნელ კალთებს ემბორა...
გარინდებულ მთის მწვერვალზე, სულო ჩემო, ერთად ვზივართ...
სდუმხარ... მე კი გულის ლოცვას დღეს აღვავლენ შენდა მიმართ:
,,ფიქრო ჩემო, ჩემო სუნთქვავ, ნუ ჩააქრობ გრძნობის კანდელს,
და ნუ მიმცემ კაეშნიან უარყოფის კორიანტელს...
შეიწირე ლოცვა ჩემი, შეივრდომე კვნესა მწარე:—
სიყვარულით ძალმიხთილი, ჩემო კარგო, შემიყვარე!..
გრძნობა ჩემი სპეტაკია, ვით ანკარა მთის ნაკადი,
სევდისაგან ხორცშესხმული, ტანჯვათაგან დანაბადი..
სული ჩემი უმწიკვლოა, ვით მაისის დილის ცვარი,
მარტოობით ნაწამები და ობლობით განამწარი...
ნუთუ სულო, არ მაკმარებ, არ მაკმარებ ტანჯვას ამდენს—
და ლოცვას არ შეუწირავ შენთვის ტანჯულს, ცრემლდანადენს?
გთხოვ, გევედრები, ლონემიხთილს აწ მშვიდობა სულის მომე,
და ბედკრულის ამოკვნესა ყურადიღე, შეივრდომე!..

გუნა.

ომი ბალკანეთზე.

დეპეში.

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო)

სოფია. ვრანის მცხოვრებლებმა ომში დაჭრილთა და მოკლულთა ოჯახების დასახმარებლათ 150,000 ფრანკი შეკრიბეს.

ათინა. 8 საათის ბრძოლას შემდეგ ბერძნებმა ქალაქი მეტსოვონი აიღეს.

ვენა. „მილიტერიშე-კორესპონდენტ"-ს მინდობილი აქვს გამოაცხადოს, რომ ტყვილია ის ხმები, ვითომც ავსტრიის გემები დურაცოში გაიგზავნაო.

ცეტინიე. დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლები ჩერნოგორიის მთავრობას შეეკითხენ: მიიღებ თუ არა გადაწყვეტათ სამშვიდობო მოლაპარაკების საკითხსო.—მთავრობამ უპასუხა: ამ საკითხის გადაწყვეტას მებრძოლი ჯარის მთავარ ბინას მივანდობთო, რომელიც პასუხს მოკავშირეებთან მოლაპარაკებას შემდეგ მოგცემთო.

ბუდაპეშტი. ავსტრიის დელეგაციის საზოგადო კრებაზე კრამარჟმა გააცხადა: ალბანეთში სერბიის ნავთსადგური ადრიატიის ზღვაზე ავსტრიისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხი არ არის. ეს იტალიის მოგონილია. ალბანეთის საკითხის გადაჭრა მარტო ორ სახელმწიფოს არ უნდა მიენდოს, ის ინტერნაციონალურათ უნდა გამოცხადდეს. ავსტრიის ინტერესები მოითხოვს, რომ იტალია შორს იყოს ბალკანეთზე, რაც შეეხება ადრიატიკზე სერბიის ნავსადგურს, უკანასკნელი ავსტრიისათვის ძალიან საჭირო არის და ამიტომაც ის არ უნდა გადაიქცეს სამხედრო ნავსადგურათ. ასეთია ავსტრიის ყველა ერების სურვილი და მათ რიცხვში სლავიანებისაც. ჩვენ არ გვინდა—ავსტრიამ დაკარგოს დიდი სახელმწიფოს სახე და მდგომარეობა, რაც ადვილი შესაძლებელია თუ რომელიმე უცხოელი სახელმწიფო გამაგრდა სერბიის სამხედრო ნავსადგურში. ადრიატიის ზღვა კარჩაკეტილი გახდება თუ ავსტრია ნებას არ მისცემს ბალკანეთის საკითხი დასრულდეს, თუ ბალკანეთის ერებს არ მისცემს მას, რასაც მათი ინტერესები მოითხოვს და რასაც სისხლით მოიპოვებს ისევ დაეკარგებათ. რაც უსათუოთ მსოფლიო ომს გამოიწვევს.

ათინა. გაზეთი „ესტინა" ამბობს ბულგარეთის „მის"-ის წერილი კარგ დროს მოთავსდა, და გაფანტა ის ჭორი თითქოს საბერძნეთის და ბულგარეთის ჯარები სალონიკში შეხვედროდენ ერთიმეორეს.

გრუდა. სკუტარიის მახლობლათ მემკვიდრის დივიზია მდინარე კირზე გადავიდა. შავგორეთის არტილერიამ ოსმალები პოზიციებიდან გადევნა.

სტამბოლი. უმართებულესი იქდამი სამშვიდობო მოლაპარაკებას იუწყება, რომელსაც საფუძვლათ სანსტეფანოს 1878 წლის ხელშეკრულება ექნება. სამშვიდობო მოლაპარაკების ძალით სტამბოლი და კირკილისი ოსმალებს დარჩებათ. მოკავშირეების მიერ აღებულ ვილაიეტებს, ისეთივე მართველობა ექნებათ, როგორიც რუმინიაში არსებობს, ესე იგი ყოველ წლიურათ ხარკს გადაიხდიან. როგორც ზემოხსენებულიდან სჩანს, ოსმალეთს წინანდელი წესის აღდგენის იმედი აქვს.

პრაგა. ახალგაზდა ჩეხების ცირკულიარში, ზოგიერთი პოლიტიკური წრეების მოთხოვნილების შესახებ, ნათქვამია: საზოგადო აზრი ძალიან კვირობს—რა მიზეზით ხელმძღვანელობს ავსტრია, როცა სერბიის სურვილის განხორციელებას ხელს უშლისო.

ბელგრადი. რადგან პაშიჩი აქ არ არის სერბიის მთავრობა დიდი სახელმწიფოების წინადადებაზე პასუხს 4 ნოემბრამდი ვერ მისცემსო.

ათინა. სამშვიდობო მოლაპარაკების გამო გაზეთები ამბობენ:—ოსმალეთმა უნდა გაიგოს, რომ მას ადგილი აღარ აქვს ევროპაში. სტამბოლი საერთაშორო ნავსადგურათ უნდა გადაიქცესო.

უსკიუბი. სერბიის ჯარი დაუბრკოლებლათ მიეშურება ადრიატიის ზღვისაკენ.

ბუდაპეშტი. ავსტრიის დელეგაციას ჩეხის დეპუტატმა მასარიკმა გაუცხადა — სერბიის ნავსადგური ადრიატიკზე არავითარ საფრთხეს ეკონომიური და პოლიტიკური მხრით ავსტრიისათვის არ წარმოადგენსო. დეპუტატი სმოლოდკა სერბია-ხორვატიის ერთადერთი წარმომადგენელი პროტესტს აცხადებს.

ცეტინიე. უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში სკუტარის გარშემო ბრძოლაა. გენერალი ვუკსტირი სკუტარზე მიდის.

სოფია. ოსმალებმა მეფე ფერდინანდის საშუალებით ბალკანეთის კავშირთან მოლაპარაკება გამართეს. ოსმალეთის სურვილი კმაყოფილებით მიიღეს. მისი ნაბიჯი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სისხლის ღვრას მალე მოეღება ბოლო. მოკავშირეების მოთხოვნილების დაკმაყოფილება, კერძო ხმებით, მომავალ კვირაში მოხდება.

ბელგრადი. მეფე ფერდინანდი მოვა და 10 ნოემბერს შეიკრიბებიან ბალკანეთის სახელმწიფოების პრემიერ მინისტრები.

ათინა. ხმები, თითქო სალონიკში უწესოება და ანარქია მეფობდეს, ტყვილია.

უსკიუბი. მონასტერთან ბრძოლა გძელდება. ოსმალებმა საუკეთესო პოზიციები დაიკავეს. ოსმალების ძალა 40,000 წარმოადგენს—სერბიელების კი 120,000. სერბიელებმა ჩორლუს, ბერანცის, ცრნოსი, ობლაკოვოს და გოპეშის ლიანდაგები დაიკავეს. სერბიელების პოზიციები ოსმალებისას სჯობია.

სტამბოლი. ერთობა და პროგრესის ბევრ გავლენიან პირს ატუსაღებენ. დატუსაღებულები ყოფილი მინისტრებია, სულ 150 დატუსაღეს.

ცეტინიე. ოფიციალურათ იუწყებიან შავმთიელების პოზიციების იერიშის მიტანას შემდეგ ოსმალებმა უკან დაიხიეს, რადგან მტერი მოულოდნელათ თავს დაეცა.

სტამბოლი. ელჩების კრება შესდგა. მეგობრულ თათბირს შემდეგ, საფრანგეთის საერთაშორისო ესკადრის ადმირალმა წინადადება შეიტანა ახალი ჯარი გამოიყვანონ.

ბერლინი. ბერლინში კრებები მოხთა, ომის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებენ.

პარიზი. კრებაზე ომის გამო პროტესტს აცხადებენ მოხდა საერთაშორისო სოციალისტთა მიტინგი.

სოფია. ჩატალჯინის ჯარში 3000 კაცი გახთა ხოლერით ავათ.

ათინა. საბერძნეთის ჯარმა დიადოხის წინამძღოლობით სალონიკი დასტოვა.

ავლონია. ალბანელებმა კრება გამართეს, ალბანეთის ავტონომია გამოაცხადეს და გადაწყვიტეს იარაღით დაიცვან იგი. ოსმალეთის მთავრობა ალბანელებში აგიტაციას ეწევა, რომ მცხოვრებლებში არეულობა გამოიწვიონ. დიდი სახელმწიფოების ელჩებმა საბერძნეთის მთავრობას შუამავლობის შესახებ, სიტყვიერი წინადადება გადასცეს.

სოფია. ,,მირ"-ი იუწყება:—ბულგარლები ზარბაზნების ცეცხლს არ დაერიდენ და სამშვიდობოზე გავიდენ. ჩატალჯის პოზიციებზე ოსმალების მდგომარეობა მეტათ კრიტიკულია. ,,მირ"-ი ამბობს—ომის დასასრული ახლოათ. წარმოუდგენელია, რომ ოსმალებმა ჩატალჯაში დამარცხებას შემდეგ ომი გააგრძელონ, რადგან ეს ოსმალეთის სრულიად მოსპობას უდრისო.

ბელგრადი. მონასტერთან ბრძოლა დაიწყო. მდინარეების გადიდებამ ხელი შეუშალა სამხედრო ოპერაციას. სერბიელ ჯარებს მემკვიდრე წინამძღოლობს. მესამე ჯარი ადრიატიის ზღვისკენ გავიდა და ზღვისპირი დაიკავა. მედუიდან [illegible] სერბიის ოლქი დააარსეს. [illegible] სერბიელებს სურვილით დახვდენ.

„მირი" ამბობს:—[illegible] ევედრებიან ევროპას შუამავლობას, და ბალკანეთის სახელმწიფოებთან ბრძოლაში ჩარჩენას [illegible] თავი დამარცხებულათ სცნონ.

დეპეში.

(პეტ. დეპ. სააგენტო).

საზღვარგარეთ

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში პალატის წინადადების გაუქმების შესახებ მსჯელობის დროს ასკვიტმა განაცხადა—ბამბერის შესწორების მიღება არ იქნებოდა პალატის შეხედულების გამოსახვა, ამიტომ მთავრობის სურვილია—არჩიოთ—უერთდებით შესწორებას თუ არა. თუ პალატა შესწორების გაუქმებას ვერ შესძლებს, მაშინ მთავრობა თავის უფლებაში ვეღარ დარჩება, რადგან შესწორება გომრულის ფინანსიურ განმარტებას საფლავს უთხრისო.

რუსეთი.

პეტერბურგი. საზღვაო სამინისტრომ კანონპროექტი შეიტანა და 1913 წელს გემების ასაშენებლათ 58,862,826 მანეთი მოითხოვა. ამ ფულიდან 39 მილიონი სამხედ. ფლოტის ასაშენებლათ გადაიდება. სამხედრო სამინისტრომ შეიტანა კანონ პროექტი სახედრო სატუსაღოების რეფორმების შესახებ. ფოშტა-ტელეგრაფის მთავარმა გამგეობამ შეიტანა კანონ-პროექტი ფოშტა-ტელეგრაფის უწყების რეფორმების შესახებ მის განსახორციელებლათ თხოულობენ 2,116,256 მან. 1813 წელში აზრი აქვთ გახსნან 384 ახალი საფოშტო და 724 სატელეგრაფო დაწესებულება.

— 3 ნოემბერს ალექსანდრეს ლავრიდან გამოასვენეს მიტროპოლიტი ანტონის ნაშთი. პროცესიას მიუძღოდა მიტროპოლიტი ვლადიმირი და მთელი პეტერბურგის სასულიერო პირები.

ადესა. სტამბოლიდან მოსულ ყოველ გემს დეზინფენქციას უკეთებენ ხოლერის შიშით.

ტაშკენტი. გაიხსნა თურქესტნის მფრინავთა საავიაციო შკოლა.

სარატოვი. სახელმწიფო ბანკის განყოფილებამ საჭიროთ სცნო გაიღოს ხორბლის შვიდი ფარდული.

სევასტოპოლი. საავიაციო შკოლის მფრინავები თავ. აბაშიძე და კაპიტანი გროზნოვი 1500 მეტრის სიმაღლეზე აფრინდენ.

ტყვილია სატრფოს ვედრება, პოეტი მას გადაჭრილი უარით უპასუხებს:

„ნუ მიმეორებ, ვითომ გიყვარდე,
მე ვერ მოგაგებ სამაგიეროს;
გესმის? ქვითინებს დედა მშობელი
და გულმან ტკბილათ როგორ გიმღეროს?.."

აქედან ცხადათ სჩანს, რომ ამ სევდანაღველის მიზეზი ღრმათ არის ჩამარხული დღევანდელი ცხოვრების პირობებში და თუ როდისმე შესაწყნარებელის, სიმპატიის და თანაგრძნობის ღირსია იგი, მით უმეტეს ამ შემთხვევაში, როცა მოტივი ამ სევდისა საერთოა ყველა ჩვენთაგანისთვის, აი, რატომ არის ჩვენთვის ძვირფასი ეს „ნაზი სევდა" შანშიაშვილისა, რომელიც ფხიზელ დარაჯათ უდგას ჩვენ მტირალ სამშობლო მხარეს და რომელიც სხვა მგოსანთა ვარამზე ბევრათ უფრო ნაცნობი და გარკვეულია... მაგრამ, მეტყვიან, განა მარტო სევდაოხვრას შეუძლია რაიმე მოგვიტანოს? განა ეს გვიხსნის ჩვენ გაჭირვებულ მდგომარეობისაგან? ვერაოდეს! მაშ შანშიაშვილის მუზა, რომელიც მხოლოდ სევდას უმღერის, ვერც გვიშველის!.. ეს ცრუ შეხედულებაა ხელოვნურ ნაწარმოებზე, რომლისგანაც ზოგიერთები შველას ითხოვენ, მაგრამ ასეც რომ იყოს, ეს მაინც მართალი არ არის, იმიტომ რომ შანშიაშვილი სხვა რამესაც უმღერის. აბა კარგათ და გულდასმით გადაიკითხეთ მისი ლექსი: „განთიადი". აქ ცხადათ მიხვდებით, რომ პოეტი მხოლოდ სევდაზე არა სდგას, სევდაზე, რომელიც, ამავე დროს, ბრაზ-ნაღველათ ზავდება; ყველა ეს კი რითიმე უნდა დამთავრებულიყო, როგორმე უნდა გადაწყვეტილიყო და დამთავრდა კიდეც პოეტის ბრძოლის ველზე გამოსვლით... და დასძახა: „ან სიკვდილი, ან თავისუფლება". მას ორივე ერთად არგუნა ბედმა. დააკვირდით რა ამაფრთოვანებელი და სიცოცხლით სავსეა „განთიადი" ბრძოლის წინ, როგორის შეუდარებელის სიხალისით ეგებება მას პოეტი, როგორ გაიფანტა მისი სევდა და ნაღველი, როცა იგი მხნეთ გამოვიდა საბრძოლველათ:

„ცა განათდა, შეიმუსრა ღამის ბინდი
და წყვდიადი, ვაშა, ვაშა! კიხაროდესთ:
განთიადი! განთიადი!"...

აი, როგორ ახარებს პოეტს განთიადი!.. რათა? იმიტომ, რომ ამ განთიადისას უნდა გადაწყდეს ჩაგრული ერის ბედი. გაცხარდა ბრძოლაც, მტარვალი შეიმუსრა, ხალხი დღესასწაულობს, მაგრამ პოეტი კი... იგი სხვერპლათ შეეწირა სამშობლოს; მაგრამ დახეთ მას, აბა თუ ერთ სინანულის სიტყვას ამოიკითხავთ მის უკანასკნელ კვნესაში:

„... მშვიდობით. ვშორდები მამულს.
ვეღარ ვიხილავ მას აყვავებულს",

ამბობს იგი სიკვდილის წინ და ამდროს განთიადი, რომელიც წინათ ყოველთვის სევდას გვრიდა, მისთვის ძვირფასი შეიქნა:

,,აჰა თენდება, ზეცა ენთება
ცხოველი სხივი სულს ეხსნება"...

,,ელხინება" იმ სულს, რომელიც რამდენისამე წუთის შემდეგ სხეულს გაეყრება!.. ასე გმირულათ ლევს სულს პოეტი, მაგრამ ეს სიკვდილი მისთვის ნამდვილი არ არის; მას შემდეგ, რაც ხალხი თავისუფლების დროშას ააფრიალებს, მისი სულიც უკვდავი გახდება; აი, სწორეთ აქ დაიწყება მისი ცხოვრება და ნამდვილი ნეტარება, მხოლოდ ამას შემდეგ გახდება იგი ნამდვილი პოეტი, რომელიც ,,ყველგან სუფევს, აქა თუ იქა შორსა, თუ ახლოს დროს ეურჩება" (მგოსნის აღსარება) და, თუმცა, როგორც ადამიანი, იგი გმირულათ, მოკვდა მაგრამ, როგორც პოეტი, მას არას ჯერა თავისი სიკვდილი:

„მაგრამ მე კვალად აღვდგები
მკვდრეთით,
,,სიკვდილს დავთრგუნავ უკვდავი
სულით,
,,ნაზი ბუნება თვის ხორცს შემახმობს:
,,დავტკბები ლხენით და სიყვარულით".

აი, სწორეთ ამ განახლებულ ცხოვრებას შემდეგ შეეძლება პოეტს სამუდამოთ გაეყაროს თავისს სევდას, და მაშინ სატრფო, რომელიც მუდამ წინ იდეალათ ესახებოდა განხორციელებას იპოვის; აი, რას ამბობს ამის შესახებ თვითონ პოეტი:

„მაშინ შენც, ტურფავ, ჩემში იცხოვრებ,
,,ერთმანეთს გრძნობით შევეთანხმებით
ჭანგი დაგვატკბობს ორივეს ერთად,
ციური ხმებით მოვიხიბლებით!!!

აი, იდეალური სიყვარული, რომელიც მიუწდომელია ახალი ცხოვრების გამარჯვებამდი და მისთვის იღვწის პოეტიც; იბრძვის ამ ახალი ცხოვრებისათვის, მაგრამ ამავე დროს არც ძველს იძულებს და ივიწყებს რადგან იცის, რომ ახალი ქვეყანა ,,ძველ ანგარიშებზე აღმოცენდება"; მაგრამ უმჯობესია ვალაპარაკოთ ამის შესახებ თვით პოეტი.

,,ძველს არ ვეკუთვნი, ფეხს კი აქ ვიდგამ
,,ძველზე ვაშენებ ჩემს კოშკის კედლებს;
,,დავუკავშირე აწმოს წარსული,
,,მისი დიდება თვალს მოსჭრის
მჭვრეტელს"

ყველასათვის ცხადია რა წასრულს და რომელ ძველზე არის აქ ლაპარაკი.

ყველა ნათქვამიდან ცხადათ ჩანს, რომ შანშიაშვილის პოეზიას ერთი დამახასიათებელი თვისება აქვს, ეს არის ,,მაძიებრობა". პოეტს დროთა ბრუნვამ ხელებზე ბორკილი დაადვა და ,,სევდის ბაღში" გამოამწყვდია, და იგი დაუღალავათ ეძიებს აქიდან გასასვლელს, იკრებს ძალას, რომ დაამსხვრიოს ბორკილი; მას არ აშინებს, რომ ირგვლივ ბნელა, გზა ეკლით შემოსილა და არემარეს ნისლი ბურავს—რომ იგი ბრძოლის ველზე მარტოა და გამომძახილს არავინ ეუბნება, რომ მისი ხვედრი, ამხანად, მარტო სევდა შეიქნა; მას მაინც სწამს უკეთესი მომავალი და ეს რწმენა იმდენათ ძლიერია, რამდენათაც ძლიერია სიყვარული სატრფოსადმი, რომელიც წმინდა მიზნის სიმბოლოა. მისთვის არც ისე ძნელია მარტოობა, რადგან ყოველს არსს, სულიერსა და უსულოს, იგი ალაპარაკებს, აგრძნობინებს, სიყვარულის სხივებით ათბობს და თავისი გულის მესაიდუმლეთ ხდის, ასე მეტყველებს ბუნება პოეტის კალამის ქვეშ. პოეტის ნაღვლიანი სატრფო მგლოვარე საქართველოა, რომელიც ამდენხანს უხმობს სახსნელათ ტარიელსა მასში საიდუმლოება და ხსნა პოეტის სევდისა, და ამიტომაც მეტის მეტათ ძლიერია სიყვარული სატრფოსადმი, რომელიც პოეტისაგან შორს იმყოფება, მაგრამ, თვით ეს სიყვარული, უშრეტელ ძალას გვრის პოეტს საბრძოლველათ და ისიც ერთხელ მაინც დაამსხვრევს ბორკილს და ჩაეკონება მხიარულ სატრფოს:

,,აეძრავ ქარიშხალს" ,,მოვბერ ნელ
სიოს
,,მეხსა დავატეხ.., ჩანგს ვაჟღერ
ტკბილათ
,,საღამოს ლოცვას ვქმნი და ვლაღადებ,
,,ჟამსა ტანჯვისას და ძილის პირად."

აი, ძირითადი თვისებანი ახალ გაზრდა მგოსნის ლირიკისა.

რაც შეეხება ლექსთა წყობას, მისს მუსიკალობას და ფორმას, აქ შანშიაშვილს მეტათ თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ჩვენს ლიტერატურაში.

ეკაკი პაპავა

1910 წ. ქ. დარპატი.

ჭურჭლეულობის და ავეჯეულობის მაღაზია ქ. ქუთაისში **ფ. ს. ფილიპოვისა**

ყოველთვის მოიპოვება დიდ-ძალი რჩეული: ფაიფურისა და ფაიანსის ჭურჭეული; საუცხოო ბროლისა და მინის საქონელი, საუკეთესო ლამპები ვარშავიდან და საზღვარგარეთიდან, [illegible] გამოკლებული ჭურჭლეული თეთრი ალიუმინის, ალპაკა და სპილენძის ქვაბები, ყავაჯნები, სარძევეები და სხვა სამზარეულო ჭურჭელი. სამოვრები, ნავთის სამზარეულოები და ყოველგვარი საოჯახო ნივთი. ვერცხლნარევი და ბრინჯაოთი ნაკეთები საქონელი. ვენური მოხრილი სუფრის ყოველგვარი და ბამბუკის ავეჯეულობა, ვარშავისა და ინგლისის ქარხნებიდან ლოგინები. კედლის და [illegible] სარკეები, სასუფრე კლიონკები და იატაკზე საფენი ლინოლეუმი, საზღვარგარეთისა და რუსეთის გიტარები, მანდალინები, ბალალაიკები, პატე—გრამაფონები და მათი ფირფიტები, პიანინოები და ყოველგვარი სათამაშო [illegible] კობილები. ელექტრონული ლამპები და ყოველგვარი მოსაწყობელი, ორთქლით მრეცხავი მანქანები და საეკლესიო მოწყობილობა, დიდძალი რჩეული შპალერი 8 კაპეიკიდან ვიდრე მანეთ-ნახევრამდი თოფი.
საუკეთესო ქარხნის მბეჭდავი მანქანის წარმომადგენლობა ქუთაისის გუბერნიისა და ბათომის ოლქში მეკუთვნის მხოლოდ მე. ფასები მეტად დაკლებულია.

სავაჭრო სახლი **გ. გოკიელის შვ-ები** სავაჭრო სახლი

აუწყებს მოწაფეებს, რომ მათ შეუძენიათ დიდძალი საჭირო

საწერი, სახატავი და საკანცელარიო ნივთები,

რომელნიც პირდაპირ მწარმოებლებისაგან არის ნაყიდი კარგი პირობებით. სავაჭრო სახლში ბევრ ნივთებზე გასულ წელთან შედარებით ფასები დაუკლო. ეს ფასი, რომელიც ხელმისაწვდომია და იაფია, კარგათ იცის ქუთაისის საზოგადოებამ.

წერილი ფოთიდან.

ქართულ პრესაში აღნიშნული იყო, რომ ქალაქი ფოთი ეროვნულ-კულტურული მხრით მეტათ დაბლა დგას საქართველოს სხვა რომელსამე ქალაქთან ან დაბასთან შედარებით და ამის მიზეზი სწორეთ ადგილობრივი ინტელიგენციის დაუდევრობასა და მცონარეობაში უნდა ვეძებოთ. და მართლაც, ჩვენი ქვეყნის არც ერთი პროვინციის ინტელიგენცია ისე უგულო და დაქვეითდებული არ არის, როგორც ფოთისა. იმ დროს, როცა სხვა კუთხეებსა და ადგილებში კულტურულ მუშაობას ეწევიან ქართველი ერის ფართო მასს ის გათვითცნობიერების ნიადაგზე, ფოთის „ინტელიგენტები“ ყელამდი ჩაფლულნი ცხოვრების „მეშჩანურ“ მორევში და პირადი, ეგოისტური ინტერესების დაკმაყოფილება უმაღლეს საფეხურზე დაუყენებიათ. ინტელიგენციის ერთი ნაწილის ცხოვრების დედა აზრს „ოცის“ რიცხვი შეადგენს; მეორე ნაწილი ბანქო-ნარდის და ბილიარდის თამაშში ატარებს დროს; მესამე—ქეიფსა და ლხინში, არღანსა და ზურნაში პოებს ბედნიერების წყაროს; ის ელემენტები კი, რომელნიც სათავეში უდგანან ადგილობრივ კულტურულ დაწესებულებათ, როგორც არის, მაგალ., წ. კ. საზოგადოების განყოფილება და დრამატიული საზოგადოება, ლახასიათდებიან დიდებული რუსთველის სიტყვებით: „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი.“

ერთი უმთავრესი მიზეზი, რომელიც ხელს უშლის ეროვნულ—კულტურულ გათვითცნობიერების გზაზე სვლას, გახლავთ სახალხო აუდიტორიის უქონლობა. წ. კ. საზ-ების ადგილობრივი განყოფილების გამგეობის ერთ-ერთ კრებაზე, რომელიც მოხდა მიმდინარე წლის დასაწყისში, ლაპარაკი იყო თეატრის აგების შესახებ. გამგეობის წევრებმა თითქმის კიდეც გადაწყვიტეს ააშენონ თეატრი, მაგრამ გადაწყვეტილება გადაწყვეტილებათ დარჩა და დღემდი მას განხორციელება არ ეღირსა, თითქოს ქალაქის გამგეობამაც მოიწადინა თეატრის შენობის აგება, მაგრამ ალახმა უწყის,—როდის ეღირსება ფოთის საზოგადოებას სისტემატიურათ იაროს წარმოდგენებზე და ესტეტიურათ გავითარდეს.

თეატრის უქონლობას უნდა მივაწეროთ ის გარემოებაც, რომ ბათომის ქართული დასი „მოგზაური*)“ აქ წარმოდგენებს ვერ მართავს. ამავე მიზეზის გამო ქართველი ლექტორები აქ ლექციებს ვერ კითხულობენ.

ვის სულშიც ჯერ კიდევ ღვივის საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობის სიყვარული, ვისაც ჯერ კიდევ არ დახშობია, არ დაჩლუნგებია გრძნობა-გონება საზოგადო სარბიელზე მუშაობისა, მისი ზნეობრივი მოვალეობაა ხელი შეუწყოს თეატრის აშენებას. თეატრის შენობის აგებით მკვიდრი საძირკველი ჩაეყრება ქართულ ეროვნულ-კულტურულ საქმეს და ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლის ერთ-ერთი ფაქტორი იგი იქნება.

ამიტომ მოვუწოდებთ ფოთის მოწინავე პირებს და დაწესებულებათ—რაც შეიძლება დააჩქარონ ხელოვნების ტაძრის აშენების საქმე.

უდ-ლი.

* * *

სიმონ წერეთლის საპასუხოთ.

თითქმის სამი თვეა მას აქეთ, რაც გაზეთ „კოლხიდაში“ წერილები მოვათავსე ს. დერჩში მადნების მუშაობის შესახებ. ჩვენ წერილებს შემდეგ, როგორც მოსალოდნელი და სასურველიც იყო, მადნების მუშაობის საქმეში ცოტაოდენი ცვლილება მოხდა: მუშას ქირა მოუმატეს (ფუთზე ერთი თუ ორი კაპიკი) და მაღაროების მოწყობასაც ცოტათი ყურადღება მიაქციეს. როგორც გავიგეთ ჩვენს წერილებს იმდენათ გაუმწარებია ბ. ბ. წერეთლები, რომ ნაცვლათ მოპირდაპირის კულტურული საშუალებით პასუხის გაცემისა, დაუწყიათ უსაშველო ლანძღვა ვისზეც კი ეჭვი მიუტანიათ. სწორეთ ეს ხანგრძლივი ლანძღვა-გინებით თავის შექცევა უნდა იყოს სხვათაშორის იმის მიზეზი, რომ ამდენხანს პასუხი არ გაუციათ ჩვენთვის იმათ, ვისაც ჩვენი წერილი შეეხებოდა. დღეს კი, როცა შეუკრებიათ ვითომ მტკიცე (?) საბუთები, მიპასუხებს საშინელ უსუსურათ: მაღაროში მუშაობა ნარდათ არისო. ბ. წერეთლებო, გაიგეთ, რომ ჩვენ ნარდათ და დღიურათ მუშაობა კი არ გვაინტერესებს, არამედ მუშის ქირა, რის შესახებაც თქვენი მხრით სიმართლე არ ჩანს. პირადათ ჩვენ ხშირათ გვლებივართ იმ თქვენს დალოცვილ მადნებზე და კარგათაც ვიცით, რომ ფუთი ქვის ამოღება ღირს 7—8 კაპიკათ. რომ მუშამ დღეში 2 მან. დაიჯინოს (როგორც თქვენ ამბობთ) საჭიროა ამოიღოს 25 28 ფუთი ქვა ყოველდღე, რაც, როგორც თვითონვე იცით, ყოვლად შეუძლებელია. ბძანებთ, რომ: ოჯახში ამდენი და ამდენი მოსამსახურე გვყავსო; ეს სრულიად არ შეეხება ჩვენს სალაპარაკო საგანს და შეგეძლოთ არც მოგეხსენებიათ ასეთი უსაფუძვლო რამ. ჩემი აზრით ამას აჯობებდა ყური არ აგეგდოთ და ორიოდე სიტყვით გეპასუხებიათ იმ ბრალდებაზე, რომელიც ჩვენს წერილში მოვათავსეთ; მაგრამ ამაზე ლაპარაკი ვგონებ არ მოგცემდათ ხელს და ამიტომ დაანებეთ თავი. თქვენ ამტკიცებთ, ადამიანურათ და სამართლიანათ ვიქცევითო; განა ადამიანური მოქცევაა თქვენი მხრით ის, რომ საუკუნოთ გაფუჭებული და ცხოვრების ყოველგვარ სახსარს მოკლებული მუშა გელენიძე გლახასავით დაიარება? განა სამართალია მადანზე საწონის მაგივრათ საწყავი იყოს? სად გაგონილა ეს, ან რომელ სამთო წესის ძალით ჩადიხართ ასეთ სამართლიანობას? თუ ყველაფერი ეს სამართლიანობა გგონიათ? რაც შეეხება თქვენს უხეირო ტრაბახს, ყველას ვეწევიო, ეს მე როგორც დერჩელმა ძალიან კარგათ ვიცი, რამდენათაც მართალია.

რაც შეეხება სამედიატორო სამართალს, მე საწინააღმდეგო არაფერი არა მაქვს, პირიქით ერთ შესანიშნავ საშვალებათაც მიმაჩნია ჩემსა და თქვენ შორის სიმართლის აღსადგენათ. მაგრამ რადგანაც სრული დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ სამედიატორო სამართლით სიმართლე კი არა, არამედ დერჩელის პიროვნება უფრო გაინტერესებთ, ამიტომ ჩემის მხრით სამედიატორო სამართალი მეტათაც მიმაჩნია, მით უმეტეს, რომ ჩვენ ცოტაოდნავ მაინც მივაწიეთ მიზანს (მუშაობის გაუმჯობესებას). თქვენ კი მაინც ვალდებული ბძანდებით ჩვენ საბრალდებულო მუხლებზე გვიპასუხოთ პრესის საშვალებით და რამდენათაც სამართლიანობა მოითხოვს ისინი გაამართლოთ და თავი იმართლოთ. და თუ ამას არ ინებებთ და სამედიატორო სამართალს მოითხოვთ, იმ შემთხვევაში ჩვენც, როცა დრო გვექნება (რადგან ჩვენ ერთი მეორეზე ერთობ დაშორებული ვართ), იმ თქვენ არჩეულ ყოვლად პატიოსან კაცთან დავნიშნავთ კაცს და ვეცდებით სიმართლე გამოვაქვეყნოთ.

დერჩელი.

---

*) „მოგზაურის“ პროგრამაში შედის-ფოთშიც დადგას წარმოდგენები. ნოვოროსიასა და სოხუმში ამ დასმა უკვე რამდენიმე წარმოდგენა გამართა.

რედაქტორ-გამომცემელი
გ. ე. ჭელიძე

გაზეთი **იმერეთი** იყიდება მესხეთის ქ. მოვაჭრე ამროსი ხვინგიასთან. **იქვე მიიღება ხელის მოწერაც.**

გაზეთი **იმერეთი** იყიდება ორპირის ქუჩაზე, მეთუნუქე ვანო ტორაძის სახელოსნოში. **იქვე მიიღება ხელის მოწერაც.**

ალექსანდრე კოსტავას
ევროპიული ტანსაცმელების მაღაზიაში
თფილისის ქუჩაზე, აფთიაქთან.

ახლათ მივიღეთ: კოსტიუმები, საშემოდგო და საზამთრო პალტოები, აგრეთვე მოწაფეებისათვის, საწვიმარი მოსახურავები და სხვა შეკერილი ტანისამოსი. ყველაფერი მეტათ დაკლებულ ფასათ იყიდება, რადგანაც ნაღდზე მაქვს ნაყიდი და მექარხნეებმა ძლიერ დამიკლეს ფასები. აგრეთვე ვღებულობ „ზაკაზებს“ ძლიერ ხელმიმცემ ფასათ, გვაქვს რუსული და ევროპიული ყოველგვარი საკოსტიუმო მატერია კაცებისათვის.

გაიხსნა
ახალი
სავაჭრო სახლი
სრულიად ახალი საქონლით
ივანე მ. კაკანაძისა
ქ. ქუთაისში, მიხეილის ქუჩა, ძმ. გოკიელის სავაჭროს გვერდ.

სავაჭრო სახლში მოიპოვება ახლათ მიღებული: ყოველგვარი საბაკალეინო და საგასტრონომიო საქონელი. საზღვარგარეთის და რუსეთის ყოველნაირი მაგარი სასმელი, სამკურნალო და სუფრის ღვინო.

და აგრეთვე ყველა ცნობილი ფირმის საკანდიტერო ტკბილეულობა და კონსერვები.

ფასები ზომიერი, ყოველი კონკურენციის გარეშე და შეუვაჭრებლათ.

ლანჩხუთის წიგნის და კანცელარიის მაღაზია,
აცნობებს ლანჩხუთის რაიონის მასწავლებლებს, რომ აქ დამზადებულია და იყიდება ყოველგვარი საკანცელარიო—სასწავლო ნივთები: **რვეულები, დღიური**, საუკეთესო **კალმები, მელანი, ქაღალდი** და სხვ. ამასთანავე აქვე იყიდება საუკეთესო ქართული და რუსული გაზეთები და ჟურნალები.

პატივისცემით კალანდაძე.

—ჟურნალ-გაზეთების კანტორა—
„იმერეთი“
ქუთაისში

ამით აცხადებს ქართველ მკითხველთა საყურადღებოთ, რომ იგი შეუდგა გამოცემას ბ. იაკობ მანსვეტაშვილის საფასით მგოსან **აკაკის** ნაწერების — მე-II-ე წიგნისას:

ძველი და ახალი ლექსები და პოემები ავტორისავე დროის შესაფერ განმარტებით. სხვათა შორის ამ წიგნში დაისტამბება აკაკის ახალი ისტორიული პოემა

„ვორონცოვი და მისი დრო“
სურათით.

ფასი ხელის მოწერით 50 კაპ., გამოცემის შემდეგ კი ეღირება 75 კაპ.

წიგნის დაკვეთა შეიძლება თვით გამოცემის ხელმძღვანელთან: 1. ქუთაისი—კანტორა „იმერეთში“ და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. 2. ბათომი—ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიადში“. 3. სოხუმი—მასწავლებელ ნიკო ჯანაშიასთან. 4. ოჩამჩირე—ნოტარიუს თეოფ. ხუსკივაძესთან. 5. ფოთი—იოსებ კოხრეიძესთან და სიმ. ორაგველიძესთან. 6 ახალსენაკი—წიგნის მაღაზია „სინათლეში“. 7. ზუგდიდი—აკაკის სახელობის ბიბლიოთეკაში. 8. ხონი—წ. კ. ს. ხონის განყოფ.—წიგნის მაღაზიაში. 9. ნაოდალევი—მასწ. პეტრე ჯალაგანიძესთან. 10. ოზურგეთი—წიგნის მაღაზია მ. თალაკვაძისა. 11. ჩოხატ. წიგ. მაღ. ს. თავართქილაძისა და გ. თავდგირიძესთან 12. ლანჩხუთი—წიგნის მაღაზია ვ. კალანდაძისა. 13 სუფსა—ვარ. ჩხაიძესთან. 14. სამტრედია—წ. კ. გ. ს. განყოფილების წიგნის მაღაზიაში და ბუღალტერ გიორგი მუმლაძესთან. 15 დაბლაში—კოლა ალხაზიშვილთან. 16 ჭრებალო—სამკითხველოში. 17. წესი—სამკითხველოში ვანო ქიქინაძესთან. 1„. ონი—ივ. კერესელიძესთან. 19. ტყიბული—მ. კბილაძესთან. 20. ხრესილი—სამკითხველოში ვარ. ჩიჩუასთან. 21. კურსები—სამკითხველო 22. სიმონეთი—სამკითხველოში. 23. სვირი—სამკითხველოში. 24. ბაღდათი—სამკითხველოში. 25. დიმი—სამკითხველოში. 26. მუხიანი—სამკითხველოში. 27. ცხინვალი—ქ. შ. წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში. 28. ჭიათურა—გაზეთ. აგენტთან ის. შილაკაძესთან. 29. ხაშური—(მიხაილოვოში) წიგ. მაღაზია—ი. ყაჭიეიშვილთან. 30. გორი—„ქართლის“ რედაქციაში და წიგნის მაღაზიაში. 31. ბორჯომი—წ. კ. ს. განყოფილების მდივანთან. 32. მცხეთა—1 კლასის ბუფეტში ვარლამ გეგეჭკორთან. 33. თფილისი—წ. კ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში, წიგნის მაღაზიებში: „ცოდნა“ და „ნოვაია რეჩში“. 34 განჯა—1-კლასის ბუფეტში და მემანქანე შალვა მამულაიშვილთან. 35. ერევანი—ქ ნ. ელენე ვირსალაძესთან. 36. ბაქო—წ. კ. ს. განყოფილების მდივანთან. ქართულ შკოლაში. 37. კავკავი.—ქართულ შკოლაში ვარლამ ბურჯანაძესთან. 38. ალაგირი—ქართულ შკოლაში პ. მეტრეველთან. 39. პეტერბურგი—ა. არაბიძესთან (კარავანნაი ა, № 2). 40. მოსკოვი—ვარ. ხუროძე და მირიან ბასილაიასთან (ნიკოლაევსკაია — № 21) 41. ოდესა —სტუდ. გრ. კვიცარიძესთან.

კანტორა „იმერეთის“ გამგე ისიდორე კვიცარიძე.

გ. გორდაძის და ს. წერეთლის
რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:
საუკეთესო
ქარხნებისაგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმოსაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაელის ქუჩაზე № 65.

ძმ. ე. და პ. საკაშვილები
ქუთაისში.

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1 აპრილიდან ჩვენ გადავიტანეთ ჩვენი

რკინეულობის სავაჭრო

პუშკინის ქუჩაზე, საკუთარ შენობაში, და შესამჩნევათ გავაფართოვეთ იგი. მაღაზიაში იყიდება ყოველგვარი რკინეულობის მასალა საშენებლათ, მაგ., კარ-ფანჯრების და ბუხრ-ღუმელების; მოწყობილობა, ლურსმანი რკინის ნიჩბები, წერაქვები და სხვ., სახელოსნო ხელსაწყობ, ფანჯრების მინები, მავთული, თუნუქი, „ქეშტი“, სხვადასხვანაირი ემალიანი ჭურჭლეულობანი ყოველგვარი საღებავი წამალი, შპალიერი, ელექტრონის ზარები მოწყობილებათ, ცემენტი, ალიბასტრი და მრავალი სხვა საქონელი ჩვენი ხელობისა.

ფასები ზომიერია.

ელექტრო-საბეჭდავი ზერაძისა და კარნაუხოვის, ქუთაისში.